



ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

სს „ქართული კრედიტი“

ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ

გიორგი ნასყიდაშვილი

დეკემბერი 2014



შესავალი

წინამდებარე ეთიკის კოდექსის მიზანია:

- ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტებისადმი ლოიალური დამოკიდებულების დემონსტრირება;
- კომპანიის აქციონერების, დირექტორების, მენეჯმენტისა და მთელი პერსონალის მაღალხმევით ეთიკური კულტურის ჩამოყალიბება;
- სათანადო ეთიკური ქცევის წახალისება;

წინამდებარე ეთიკის კოდექსის შემოღებით, დაცვით და რეგულარული განახლებით, ქართული კრედიტი ადასტურებს სურვილს, ხელი შეუწყოს კომპანიაში მაღალი ეთიკური ქცევის დამკვიდრებას. კომპანიის აქციონერების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და განმტკიცების მიზნით წინამდებარე ეთიკის კოდექსი სცილდება საქართველოში დღესდღეობით არსებულ მარეგულირებელ ჩარჩოს და მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და პრაქტიკას.

კომპანიის წებისმიერი რგოლის თანამშრომელს ევალება დაიცვას მოცემული ეთიკის კოდექსი, პატივი სცეს მის სულისკვეთებასა და დებულებებს, იმოქმედოს აღნიშნული კოდექსით როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მესამე მხარესთან ურთიერთობაში.

კოდექსის განხილვა და განახლება ხდება ყოველწლიურად, თანამშრომლებს მიეწოდებათ ნაბეჭდი სახით, ასევე ვრცელდება კომპანიის შიდაკორპორაციული ქსელით.

ა. ქართული კრედიტის კორპორატიული ღირებულებები

სოციალური პასუხისმგებლობა

- კომპანიას შემუშავებული აქვს სტრატეგია სოციალური მიზნების მისაღწევად;
- კომპანიის სტრატეგია წარმოადგენს ოფიციალურ განაცხადს, რომელიც მოიცავს სოციალურად დაუცველი თუ სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ამ კლიენტებისათვის სარგებლობის მომტანი პირობების შექმნას;
- კომპანიის სოციალური მისიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კლიენტების სიღარიბის დაძლევა, რაც გაიზომება სიღარიბის დონის მონიტორინგის ინსტრუმენტის საშუალებით;
- კომპანიას ნათლად აქვს წარმოდგენილი მისი სამიზნე ჯგუფი, მიზანი და მისი პროდუქციისა და სერვისების საჭიროება დასახული მიზნის მისაღწევად;
- კომპანია კლიენტებს სთავაზობს პროდუქტებს მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწვრილებით და გასაგებად უხსნის პირობებს და იცავს მათ კონფიდენციალობას;



- კომპანია ასაჯაროვებს ინფორმაციას სოციალური საქმიანობების შესახებ, მათ შორის სოციალური პერფორმანსის MIX მონაცემებს.

მომხმარებელზე ორიენტაცია

- მოვეპყროთ კლიენტებს სამართლიანად და თავაზიანად, ვისაუბროთ კლიენტებთან მათ ენაზე, შევთავაზოთ მომხმარებელს ფიზიკურად ხელმისაწვდომი, ხარისხიანი, კეთილგანწყობილი, სწრაფი და მათ საჭიროებებზე მორგებული საფინანსო მომსახურება - ასეთია კომპანიის პოლიტიკა;
- გამჭვირვალობა - კომპანია მთლიანად ასაჯაროვებს ინფორმაციას საწარმო და არასაწარმო ხარჯების შესახებ;
- კონფიდენციალობა- კომპანია ატარებს კლიენტთა მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის პოლიტიკას და ფლობს ამისათვის შესაფერის ტექნოლოგიურ სისტემებს;
- საჩივრების მართვის მექანიზმი - კომპანია იყენებს კლიენტთა შეფასებებს მომსახურებისა და პროდუქტების გაუმჯობესების მიზნით;
- კლიენტი უზრუნველყოფს ჩვენს არსებობას და კლიენტის კმაყოფილება განაპირობებს ჩვენს წარმატებას;
- კლიენტი, რომელსაც ემსახურებიან ხარისხიანად, იქცევა მუდმივ კლიენტად; მუდმივი კლიენტი, რომელსაც ემსახურებიან ხარისხიანად, იქცევა თანამოაზრედ;
- კომპანია აანალიზებს მომხმარებლის დაკარგვის მიზეზებს და იღებს ზომებს იმ ინსტიტუციონალური პრობლემების გადასაჭრელად, რაც იწვევს მომხმარებელთა გადინებას და/ან უკმაყოფილებას.

თანამშრომელზე ორიენტაცია

- ქართული კრედიტის უმთავრესი ძალა და ფასეულობა თანამშრომელია, რომელიც მას წარმოაჩენს;
- კომპანიის მუშაობის მთავარი პრინციპია თანასწორუფლებიანობა - ყველა თანამშრომელს აქვს შეფასებისა და დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობა. კომპანია ეწევა ობიექტურ და სამართლიან პოლიტიკას თანამშრომლების მიმართ;
- კომპანია თანამშრომლებს უქმნის სტაბილურ და განვითარებაზე ორიენტირებულ სამუშაო პირობებს;
- კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს საკუთარი მნიშვნელოვნების განცდა - ეს არის პასუხისმგებლობა, ინტერესი, ჩართულობა გადაწყვეტილებებში, მისი ხედვის, აზრის, საქმის ღირებულება კომპანიისათვის;
- კომპანია უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებას ნებისმიერი თანამშრომლისთვის;
- თანამშრომლები ეცნობიან და ხელმოწერით ადასტურებენ წინამდებარე ეთიკის კოდექსს, შრომის შინაგანაწესსა და სამუშაო აღწერილობას.
- თითოეულ თანამშრომელს ესმის, რომ მისი საქმიანობა ღირსეულად დაფასდება.



პროფესიონალიზმი და პატიოსნება

- ქართული კრედიტი სთავაზობს კლიენტებს პროფესიონალურ მომსახურებას;
- კომპანიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ხელს უწყობს ეთიკური ქცევის დამკვიდრებას, რაც თავისთავად გულისხმობს თაღლითობის პრევენციას;
- კომპანია ოპერირებს კომპეტენტური და კვალიფიციური თანამშრომლებით და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაზე;
- კომპანიის მმართველი რგოლი ახდენს კომპანიის სოციალური საქმიანობის მიზნების ინტეგრირებას ბიზნეს გეგმებში;
- მომხმარებლებს ემსახურებიან კვალიფიციური თანამშრომლები, რაც საშუალებას მისცემს მათ კიდევ უფრო განავითარონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობა.

გუნდური მუშაობა

- ქართული კრედიტის საყრდენი ძალა არის გუნდური მუშაობა, საერთო მიზნისაკენ სწრაფვა, კეთილგანწყობილი და უშუალო ურთიერთობები, თანამშრომლების მიმართ თანადგომა და მეგობრული მიკროკლიმატი გუნდში;
- კომპანია მხარს უჭერს გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას კომპანიის შიგნით და ზოგადად მიკრო ჯგუფებში;
- კომპანია მოუწოდებს თავის თანამშრომლებს, გამოხატონ ინტერესი და მიიღონ მონაწილეობა კომპანიის ყოველდღიურ გადაწყვეტილებებში და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კონფიდენციალურობა

- ქართული კრედიტი აცნობს კლიენტებს თავიანთ უფლებებს;
- კომპანია აგროვებს მონაცემებს კლიენტებზე, რომელიც მის სოციალურ მიზნებს შეესაბამება. იგი ამუშავებს ამ მონაცემებს და პასუხისმგებლობას იღებს ინფორმაციის სიზუსტეზე;
- კომპანია უზრუნველყოფს ზუსტი და დროული ინფორმაციის შეგროვებას;
- კომპანია ატარებს კლიენტთა მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას და ფლობს შესაფერის ტექნოლოგიურ სისტემებს;
- კომპანია ატყობინებს კლიენტს სად და როდის გააზიაროს მათი მონაცემები და იღებს მათგან თანხმობას;
- კომპანიის თანამშრომლებს ეკრძალებათ სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება. თანამშრომლებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის კომერციული თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება, გამოქვეყნება, გავრცელება ან გამჟღავნება. მათ შეუძლიათ ეს ინფორმაცია გაანდონ მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში;



- თანამშრომლებს ევალებათ საიდუმლოდ შეინახონ კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაცია კომპანიის ფინანსურ გეგმებსა და ოპერაციებზე, შიდა სტანდარტებსა და მეთოდოლოგიაზე, წლიურ და მრავალწლიან ფინანსურ გეგმებზე, შიდა ინსტრუქციებსა და რეგულაციებზე.

განსაზღვრული კორპორატიული იდენტობა და ბრენდირების პოლიტიკა

- ფინანსური მდგრადობისა და კლიენტთა კეთილდღეობისთვის კომპანია განსაზღვრავს და აკონტროლებს ზრდის კოეფიციენტს;
- მოგებაზე ორიენტაციის გაკეთება ხელს არ უშლის კომპანიის გრძელვადიან მდგრადობასა და კლიენტთა კეთილდღეობას;
- კომპანიის სტრატეგიაა შეუსაბამოს თავისი სოციალური მიზნები კლიენტთა შესაძლებლობებსა და კომპანიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს;
- ქართული კრედიტის ნებისმიერი თანამშრომელი წარმოადგენს კომპანიის სახეს, ასე რომ, მათი ქმედება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის სოციალურ მიზნებს და ზემოთხსენებულ ეთიკურ სტანდარტებს.

ბ. კომპანიის ეთიკური პრინციპები

ქართული კრედიტის მიზანია იმოქმედოს ეთიკის დაცვით მისი საქმიანობის ყველა ასპექტში. ქართული კრედიტი აცხადებს, რომ სამართლიანად და პატიოსანად წარმართავს თავის საქმიანობას და უზრუნველყოფს მისი აქციონერების გრძელვადიანი ინტერესების დაცვას;

ამ ვალდებულების თანახმად, მოცემული ეთიკის კოდექსით კომპანია თავისი თანამშრომლებისაგან მოითხოვს სამართლიან, პატიოსან საქმიანობასა და ეთიკურ ქცევას.

კოდექსი ეხება ქართული კრედიტის ყველა თანამშრომელს, კონტრაქტორს, დირექტორთა საბჭოს წევრს და ყველას, ვისაც კი შეიძლება ეწოდოს „თანამშრომელი“.

ქართული კრედიტის ეთიკური სტანდარტები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პატიოსნება
- სანდოობა
- სამართლიანობა
- გამჭვირვალობა

კომპანიის ყველა ეთიკური სტანდარტი ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს:



- კანონის უზენაესობა, საქართველოს კანონმდებლობის დაცვა და ადამიანის უფლებების პატივისცემა;
- კომპანიის თანამშრომელს ეკრძალება ნებისმიერი ქმედების ჩადენა ქართული კრედიტის სახელით, თუკი მან იცის ან ეჭვობს, რომ ეს ქმედება არღვევს რომელიმე მოქმედ კანონს, კომპანიის შიდა რეგულაციას ან საზოგადოებაში მიღებულ ზოგად ეთიკურ პრინციპს;
- კომპანიის მართვის ფინანსური და ოპერაციული ქმედებების მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს კომპანიის აქციების ფასი; თანამშრომლებმა უნდა აწარმოონ საიმედო ბიზნეს ჩანაწერები, რაც ზუსტად და სამართლიანად ასახავს ქართული კრედიტის ბიზნეს საქმიანობას. თანამშრომელს მკაცრად ეკრძალება ბიზნეს ჩანაწერების გაყალბება.
- ქართული კრედიტი აცხადებს, რომ აწარმოებს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულ, სამართლიან, ზუსტ, დროულ და გასაგებ აღრიცხვას. იგი აცხადებს, რომ საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს გადასცემს მარეგულირებელ ორგანოებს და სხვა საჯარო უწყებებს, თუ ამის აუცილებლობა განსაზღვრულია კანონით;
- პატიოსანი და სამართლიანი ბიზნესის წარმართვა, ქრთამისა და კორუფციის არ დაშვება - ეს ის კრიტერიუმებია, რასაც ეფუძნება ქართული კრედიტის ეთიკის კოდექსი;
- კომპანია მკაცრად უკრძალავს ყველა მის თანამშრომელს, კომპანიის სახელით გადაიხადოს, შესთავაზოს ან კანონიერი გახადოს ნებისმიერი ქრთამი ან სხვა უკანონო გადასახადი. ქართული კრედიტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ქრთამის აღების ფაქტის გაგების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ კომპანიის მენეჯმენტს;
- კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვას. ეს გულისხმობს ზოგადად გარემოს და არა მარტო კონკრეტული გარემოს, სადაც ის ოპერირებს.

გ. სხვა და სხვა მხარეებთან ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

თანამშრომლებთან ურთიერთობა

ქართული კრედიტი პატივს სცემს მის თანამშრომელს, როგორც წარმატების ფუძემდებელს. კომპანია მის თანამშრომელს ეპყრობა ღირსეულად, ნდობით და პატივისცემით. გრძელვადიანი ურთიერთობების შენება დაფუძნებულია საქართველოს შრომის კანონისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პერსონალის ერთგულებითა და შესანიშნავი მიღწევებით. ასეთი ერთგულება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ნდობის კლიმატის, ღია და გულახდილი ურთიერთობითა და პატივისცემით. თანამშრომლის ურთიერთობები სხვა თანამშრომლებთან და პირდაპირი ანგარიშგება ზედამხედველებთან, ერთგულებით და



უმაღლესი ეთიკური სტანდარტების შენარჩუნებით წარიმართება.

კომპანია ხელს უწყობს თანამშრომელთა გუნდური სულისკვეთების გაღვივებას და სჯერა, რომ ნიჭის, უნარების და შეხედულებების მრავალფეროვნება ახალი და შემოქმედებითი ბიზნეს შესაძლებლობებისა და ინოვაციების სტიმულირების საწინდარია.

კომპანია უზრუნველყოფს ტრენინგებისა და დაწინაურების სისტემის ჯანსაღ ფუნქციონირებას, რაც პერსონალის კარიერულ ზრდას უწყობს ხელს. თანამშრომლებს ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობები. თანამშრომლის შერჩევა, აყვანა, დაწინაურება და კომპენსირება ხდება მათ მიერ გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისა და მიღწეული შედეგების მიხედვით.

აღნიშნული პრინციპები არ ზღუდავს კომპანიის უფლებას მიიღოს დისციპლინარული ზომები ან/და სამსახურიდან დაითხოვოს თანამშრომლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მომხმარებელთან ურთიერთობა

კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მომხმარებლის კმაყოფილებასა და ნდობაზე. მომხმარებლის მოთხოვნები განუწყვეტლივ იცვლება, ამიტომაც უნდა ვიცოდეთ რა სურთ ჩვენს მომხმარებლებს და გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები ცვალებადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ურთიერთობის ნორმები:

- თითოეული თანამშრომელი ვალდებულია იყოს ყურადღებიანი, სამართლიანი და მომთმენი მომხმარებლის მიმართ;
- დაუშვებელია კლიენტურასთან როგორც უსიამოვნო და ქედმაღლური ისე, ზედმეტად ახლო ურთიერთობის დამყარება.
- თანამშრომელმა კლიენტურასთან უნდა ჩამოაყალიბოს საქმიანი, სანდო და კეთილგანწყობილი ურთიერთობა;

ურთიერთობისას სასტიკად აკრძალულია:

- მომხმარებლის შეურაცხყოფა;
- მომხმარებლისგან ნებისმიერი სახის მორალური ან მატერიალური ვალდებულების აღება: ძვირადღირებული ნებისმიერი საჩუქრის ან სხვა ფორმის სარგებლიანი მომსახურების (მათ შორის მიწვევის) მიღება, რომლის საბაზრო ღირებულება ჯამში აღემატება 20 ლარს).



ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობა:

- ქართულ კრედიტს ღრმად სწამს, რომ სამართლიანობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ბიზნეს პარტნიორებთან, წარმატების საწინდარია;
- კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ ისეთ ბიზნეს პარტნიორებთან, რომელიც იზიარებს მის ეთიკურ სტანდარტებს;
- კომპანია პატივს სცემს ბიზნეს ურთიერთობების გამჭვირვალობას.
- სახელშეკრულებო ურთიერთობები წარიმართება ორმხრივი სარგებლის მიღების საფუძველზე;
- ბიზნეს ურთიერთობები ეფუძნება მაღალი შესრულების სტანდარტებს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ეფექტურად შესრულების მოთხოვნებს;
- კომერციული დავის წამოჭრის შემთხვევაში, კომპანია ეცდება საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრას, რათა მიღწეულ იქნას საკითხის მეგობრული გადაწყვეტა.

ურთიერთობა სახელმწიფოსთან:

- ქართული კრედიტი ემორჩილება საქართველოს კანონმდებლობას და იხდის გადასახადებს სრულად და დროულად;
- კომპანია იცავს ეროვნული ბანკის ყველა რეგულაციას და საქართველოს კანონმდებლობას;
- ცდილობს დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები სამთავრობო ხელისუფლებასთან, არ ახორციელებს მთავრობის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, არ ახდენს ქრთამის გადახდას, მიღებას ან შუამდგომლობას ნებისმიერი ფორმით;
- კომპანია არასოდეს გაიღებს შესაწირს პოლიტიკური მიზნებისთვის ფულადი ან მატერიალური ფორმით.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- კომპანია თავის თავს მოიაზრებს იმ საზოგადოების განუყოფელ ნაწილად, რომელშიც ის ოპერირებს და ერთგულია ჯანსაღი ურთიერთობების, რომელიც დამყარებულია პატივისცემაზე, ნდობაზე, პატიოსნებასა და სამართლიანობაზე;
- კომპანიის მიზანია შექმნას სამუშაო ადგილები, ზრუნავს გარემოს დაცვაზე, არ აფინანსებს გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით აკრძალულ საქმიანობას;
- თანამშრომლებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, შეიტანონ წვლილი საქველმოქმედო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და სხვა სასწავლო დაწესებულებების საქმიანობაში.

დ. თანამშრომელთა ქცევის ძირითადი ეთიკური პრინციპები



აღნიშნული ეთიკის კოდექსით ასევე რეგულირდება თანამშრომელთა ქცევის ძირითადი ეთიკური პრინციპები. ყოველი თანამშრომელი ვალდებულია იმოქმედოს ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვით:

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას თანამშრომლის ობიექტურად და სამართლიანად განსჯის უნარს.

- ყველა თანამშრომელი ვალდებულია თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს. დაუშვებელია თანამშრომელი დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რაც ხელს შეუშლის მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაში, წინააღმდეგობაში მოდის კომპანიის ინტერესებთან და/ან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მის რეპუტაციაზე;
- აკრძალულია თანამშრომლის ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ორგანიზაციაში დასაქმება. იშვიათი გამონაკლისი დასაშვებია, როდესაც კანდიდატი გამოირჩევა უნიკალური თვისებებით, რაც მის კონკურენტებს არ გააჩნიათ და იგი ფაქტიურად შეუცვლელია განსახილველ პოზიციაზე;
- თუ ორგანიზაციაში უკვე მუშაობენ ოჯახის წევრები ან/და ახლო ნათესავები, აუცილებელი პირობა არის შემდეგი:
 - მათ არ უნდა ჰქონდეთ საშუალება ერთად განაგონ კომპანიის ფინანსები ან სხვა ქონება (ხელმოწერები ნებისმიერ ფინანსურ დოკუმენტაციაზე, ნებართვები შენამძენებზე);
 - დამოუკიდებლად, სხვა პირების ჩარევის გარეშე გასცენ სესხი;
- კომპანიაში არ იქმნება პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების სტრუქტურები. თანამშრომლებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ეკრძალებათ იხელმძღვანელონ პარტიების, პოლიტიკური მოძრაობების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებით, ასევე იკრძალება აშკარა პოლიტიკური აგიტაციის გაწევა;
- აკრძალულია პრივილეგირებული ან შეღავათიანი მომსახურების შეთავაზება საკუთარი ინიციატივით, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც რეგულირდება ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- მომწოდებლის შერჩევა პირადი კავშირების საფუძველზე;
- თანამშრომლებს ეკრძალებათ: ნათესავის სესხის გაცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღება; მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც გამოკვეთილია მისი ნათესავების/ოჯახის წევრის ინტერესი.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა თანამშრომელმა უნდა მიმართოს მის უშუალო უფროსს, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს ან გენერალურ დირექტორს.



კომუნიკაცია და ანგარიშგება

კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მიაწოდოს ერთმანეთს, მომხმარებელს, შიდა და გარე აუდიტსა და სამთავრობო ინსტიტუტს ზუსტი და საიმედო ინფორმაცია, აგრეთვე, აწარმოოს ზუსტი და დროული ანგარიშგება.

ინფორმაციის სანდოობა

- დამსაქმებელთან წარდგენილი ყველა ინფორმაცია (რეზიუმე, პერსონალის კითხვარი, სამედიცინო ისტორია და ა.შ.) უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და იყოს ზუსტი;
- სხვა ორგანოსთვის გადაცემული ყველა ინფორმაცია (ანგარიშები, ჩანაწერები და ა.შ.) უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და იყოს ზუსტი.

ქართული კრედიტის ქონების პირად საკუთრებაში მითვისება

- თანამშრომელს უფლება არ აქვს შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიყენოს ქართული კრედიტის ქონება პირადი სარგებლის მიღების მიზნით ასევე გაიტანოს კომპანიის ქონება ტერიტორიიდან;
- თანამშრომელი ვალდებულია გაუფრთხილდეს კომპანიის ქონებას;
- კომპანიის ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანება გახდება დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველი.

კონფიდენციალური ინფორმაცია

- კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია. თანამშრომელს ეკრძალება კომერციული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი პირისთვის, ვის კომპეტენციაშიც ამ ინფორმაციის ცოდნა არ შედის. კომერციულ კონფიდენციალურ ინფორმაციაში იგულისხმება კომპანიის მონაცემები, ფინანსური ან სახელშეკრულებო გეგმები და სხვა შეთანხმებები, ინფორმაცია ამჟამინდელ ან ყოფილ თანამშრომლებზე, კლიენტებზე;
- თანამშრომელი ვალდებულია ყოველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, შეინახოს ჩაკეტილ სათავსოში, ხოლო მუშაობის დასრულებისთანავე გამორთოს კომპიუტერი;
- თანამშრომელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია სამსახურიდან დათხოვნის შემდეგაც კი.

საჯარო ინფორმაცია



კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც კანონის თანახმად ითვლება საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარება გაცხადებას და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა სხვა წყაროებიდან.

ინფორმაცია კომპანიაზე, მის საქმიანობაზე, პროდუქტებზე, ტარიფებზე გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია კომპანიის აქციონერებისათვის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

დისკრიმინაცია და ძალადობა

- კომპანია მკაცრად რეაგირებს სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის რაიმე ფორმით გამოვლინების ფაქტების წინააღმდეგ, სათანადოდ იძიებს ამგვარ ქმედებას და ახორციელებს შესაბამის რეაგირებას;
- არც ერთი თანამშრომელი, მიუხედავად მისი თანამდებობისა ან კომპანიაში მუშაობის სტაჟისა, არ სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიით;
- კომპანიის დამოკიდებულება შეურიგებელია დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტების მიმართ, შეურიგებელია როგორც განმარტებული პირების, ასევე იმ პირების მიმართ, ვისი მიზეზით, დახმარებით, მითითებითაც მოხდა აღნიშნული დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტი;
- დისკრიმინაციისა და ძალადობის ნებისმიერი შემთხვევა გამოძიებული იქნება ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურების მიერ და გამოყენებულ იქნება დისციპლინარული სასჯელი.

კერძოდ, დასაქმების მხრივ:

კომპანია არ მოახდენს არც ერთი თანამშრომლის ან აპლიკანტის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, გენდერული იდენტობის, ეროვნული წარმოშობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, ინვალიდობის, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა რაიმე მახასიათებლის გამო, რაც დაცულია კანონით. ეს ვრცელდება, (მაგრამ არ შემოიფარგლება), რეკრუტირებაზე, შერჩევაზე, დაწინაურებაზე, გადაყვანაზე ან გათავისუფლებაზე.

პასუხისმგებლობა

თითველი პირი პასუხისმგებელია საკუთარ ეთიკურ ქცევაზე. მოცემული ეთიკის კოდექსის დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის, ისე როგორც, ეს მათ ხელშეკრულებაშია მითითებული. კოდექსის ასლი გადაეცემა ყველა თანამშრომელს პირველსავე სამუშაო დღეს.

სამსახურის უფროსები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე და მათ



მიერ დაქვემდებარებულ სამსახურებში აღნიშნული ეთიკის კოდექსის იმპლემენტაციაზე.

ეთიკის კოდექსის დარღვევა

ქართული კრედიტი დაუყოვნებლივ მიიღებს ადმინისტრაციულ ზომებს, თუკი რომელიმე თანამშრომელი განზრახ ან უყურადღებობით დაარღვევს კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს.

ექვსის არსებობის შემთხვევაში, ყველა თანამშრომელს მოეთხოვება იმოქმედოს პასუხისმგებლობის გრძნობით და ეთიკური დილემის გადაწყვეტის საკითხი დააყენოს მის უშუალო უფროსთან. იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლის შეხედულების თანახმად, საკითხი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, საკითხის დამატებითი განხილვა უნდა მოხდეს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსთან.

წინამდებარე ეთიკის კოდექსის განხილვა ხორციელდება ყოველ წელს და ქვეყნდება კომპანიის შიდა კორპორატიულ გვერდზე.

სს. „ქართული კრედიტი“-ს

გენერალური დირექტორი /გიორგი ნასყიდაშვილი / _____